„წერით მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის გზების ძიება”

კვლევის ხელმძღვანელი : მერი ჩიკვილაძე

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლაში ჩატარებულ კვლევის ანგარიშს. კვლევის მიზანს წარმოადგენს პედაგოგებში კვლევის უნარების განვითარება/ დახვეწა

სარჩევი

საკითხის აქტუალობა----------
კვლევის მიზანი----------
მონაცემთა შეგროვება----------
კვლევის საკითხის პრობლემატურობა----------
დაგეგმილი ინტერვენციები და მათი განხორციელება----------
კვლევის დღიური----------
მონაცემთა ანალიზი----------
რისკები და გამოწვევები----------
დასკვნები და რეკომენდაციები----------
გამოყენებული ლიტერატურა----------
დანართი----------

საკითხის აქტუალობა

წერის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტია. ის ხანგრძლივი და რთული პროცესია და მოითხოვს სისტემატურ მუშაობას , მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებას, რათა მოსწავლე დაეუფლოს სხვა და სხვა სახის დანიშნულებისა და სტილის მიხედვით განსხვავებული ტექსტების შედგენა-შექმნას.

დაწყებითი ასაკისათვის მოსწავლეებს უკვე განვითარებული აქვთ აზრის მწყობრად ჩამოყალიბებისა და წერილობით გადმოცემის უნარ-ჩვევები, თუმცა საკუთარმა დაკვირვებამ და გამოცდილებამ გაკვეთილზე, წინა სასწავლო წლისა და მიმდინარე საწავლო წლის II სემესტრის შედეგებმა მაჩვენა ,რომ ჩემს მოსწავლეებს მეტ-ნაკლებად უჭირთ წერასთან დაკავშირებული აქტივობების შესრულება და მათ ჯერ კიდევ ბევრი ვარჯიში და მუშაობა სჭირდებათ წერის კულტურისა და აზროვნების ასამაღლებლად.

მიზანი

1.ამრიგად, ჩემი კვლევის მიზანი გახდა, წერასთან დაკავშირებული ხარვეზების აღნუსხვა და აღმოფხვრა მე-6 კლასში, რომელშიც სულ 9 მოსწავლე მყავს.

2.მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება ამ კუთხით.

ვინაიდან წერით უნარ-ჩვევებზე კარგად დაუფლება რთული პროცესია და ბევრი დრო ესაჭიროება, ახალი მეთოდების დანერგვას და მიდგომებს მთელი მეორე სემესტრი დავუთმე.

არჩეულ საკითხზე პრაქტიკის კვლევის ჩატარება დიდი სარგებელს მოუტანს, როგორც მოსწავლეებს, რომელთაც მეტად ჩამოუყალიბდებათ წერასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები.სარგებელს მომიტანს მეც, გამდიდრდება და დაიხვეწება ჩემი პრაქტიკა, ასევე სარგებელს მოუტანს სკოლას და ჩემს კოლეგებს,რომელთაც ანალოგიური პრობლემები აქვთ

 კლასში წერასთან დაკავშირებით

სასურველ შედეგებზე გსასვლელად კი, პირველრიგში უნდა ვიცოდეთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა ამ მიმართულებით:

ქართული VI.14 მოსწავლე შეუძლია პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენება საწავლო პროცეში.აქვს მხატვრულინ წარმოსახვის უნარი.

ქართული VI.15 მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მიზნობრივი ტექსტების დამოუკიდებლად შექმნა.

ქართული VI.16 მოსწავლე შეუძლია ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის აუცილებელი წესების გამოყენება.გრამატიკული თვალსაზრისით მარტებული სიტყვათფორმების აგება.

გადავწყვიტე ,ყურადღება გამემახვილებინა შემდეგ ინდიკატორებზე:

ქართული VI. 14 მოსწავლეს შეუძლია პიროვნული და შემოქმედებითი გამოცდილების გამოყენება სასწავლო პროცესში.აქვს მხატვრული წარმოსახვის უნარი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე :

აკეთებს წერილობით კომენტარს მისთვის მხატვრულად და აზრობრივად საინტერესო მონაკვეთების შესახებ.

საკუთარი განცდის, შთაბეჭდილების გადმოსაცემად ირჩევს მისთვის სასურველ ფორმას.

ქართული VI 15 მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მიზნობრივი ტექსტების დამოუკიდებლად შექმნა.

შედეგი თვალსაჩინოა,თუ მოსწავლე:

ავლენს ფაქტისადმი(მოვლენისადმი) საკუთარ დამოკიდებულებას, ახერხებს მის ემოციურ შეფასებას შესაფერისად შერჩეული ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენებით.

ჩემი კვლევის სამიზნე ეს კონკრეტული ინდიკატორები გახდა და გაჩნდა კითხვებიც : როგორ,რა მეთოდებით და აქტივობებით შევძლებ,მოსწავლე დავაუფლო საკუთარი განცდების,შთაბეჭდილებების გადმოცემას? როგორ გამოუმუშავო შესაბამისი უნარ-ჩვევები,რომ მან მოახერხოს წერილობითი კომენტარის გაკეთება მისთვის მმხატვრულად და აზრობრივად საინტერესო მონაკვეთების შესახებ? ვთვლი ,რომ მათზე ინტენსიური მუშაობა და დაუფლება დიდი წინგადადგმული ნაბიჯია წერის სწავლების გზაზე. მათი წარმატებით

დაძლევის შემდეგ შედარებით იოლია დანარჩენ ინდიკატორებზე დაუფლება და აუცილებლად გააუმჯობესებს და აამაღლებს ჩემი მოსწავლეების წერის კულტურას და უნარ-ჩვევებს სასურველ შედეგებზე გასასვლელად.

მონაცემთა შეგროვება

ჩემი პრაქტიკის კვლევის ამოსავალი მიზეზი გახდა,როგორც წინა წელს ,ისე მიმდინარე სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩატარებული ყველა ტიპის წერითი დავალების დაბალი შედეგები.კვლევის გზაზე გდავწყვიტე, შემექმნა ფოკუსჯგუფი და დამედგინა მოსწავლეთა . დაბალი შედეგების მიზეზები. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ჩავატარე სპეციალური სხდომა.სხდმაზე მოვიწვიე დაწყებითი კლასის პედაგოგები.მათგან შევქმენი ფოკუსჯგუფი და სხდომა ინერევიუს რეჟიმში ჩავატარე.

თითოეულს დავუსვი პრობლემური კითხვა:

1.რით არის გამოწვეული წერითი მეტყველების დაბალი დონე ჩვენი სკოლის დაწყებით კლასებში?

2. თავის დროზე, რა ღონისძიებები გაატარეთ პრობლემის აღმოსაფხვრელად?

3 .კონკრეტულად ,რომელი ტიპის დავალებების შესრულება უჭირდათ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს?

4.თქვენ ჩართული იყავით დაწყებითი განათლების პროექტ G-PRIED-ში, სწავლებისას უფრო მეტად კითხვის მიმართულებით მუშაობდით თუ თანაბრად, წერასთან ერთად?

5.მოსწავლეთა მწირი ლექსიკის გასაუმჯობესებლად რა ღონისძიებები დასახეთ?

მათგან საქმიანი, საინტერესო პასუხები მივიღე:

1.აუცილებელია, ქმედითი ღონისძიებების გატარება, პრობლემასთან დაკავშირებით, როგორც მასწავლებლის, ასევე მშობლის მხრიდან მეტი ჩართულობთ სასურველი შედეგების მისაღებად.

2.ჩვენი შედეგები გათვლილი იყო ეროვნილი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და შესაბამისად ვიმუშავეთ ჩვენც.

3.მოსწავლეებს უჭირდათ აზროვნებაზე ორიენტირებული წერითი დავალებების შესრულება.

4.წერა-კითხვა ერთმანეთისგან განუყოფელი პროცესია, დაწყებითი განათლების პროექტი ძირითადად კითხვის საბაზისო უნარების განვითარებაზე იყო ორიენტირებული.

5. მოსწავლეებს ხშირად ვაკითხებდით საბავშვო ლიტერატურის ნიმუშებს.

მიუხედავად კოლეგების მცდელობისა, პრობლემასთან დაკავშირებით, გაეტარებინათ რიგი ღონისძიებები,შედეგები მაინც არასახარბიელო აღმოჩნდა.

საკვლევი საკითხის პრობლემატურობა.

პრობლემა ზოგადი ხასათისაა. წერა, რომელიც კოგნიტურ უნარებს აერთიანებს, მასზე კარგად დაუფლება, რთული პროცესია და დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს პედაგოგისაგან მიზნის მიღწევის გზაზე. „წერა არ არის მარტივი პროცესი, სასწავლო გეგმის მიხედვით წერა არის მცდელობა, გამოიყენო წერის შესაძლებლობა საკუთარი ცოდნისა და შეხედულებების წარმოსაჩენად“(მარიამ გოდუაძე,, წერის საწავლების სტრატეგიები“ ინტერნეტ გაზეთი მასწავლებელი.გე 2018 წელი).

დაგეგმილი ინტერვენციები და მათი განხორციელება.

პირველ რიგში, შევადგინე სამოქმედო გეგმა.მოვიძიე და წავიკითხე სპეციალური , მეთოდური ლიტერატურა, შევადგინე ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით წერის მიმართულებასთან დაკავშირებული საკვანძო კითხვები და საკლასო ოთახში თვალსჩინო ადგილას გამოვაკარი.ასევე, მოვიშველიე სპეციალური ინსტრუმენტები: როგორც წინა წელს,მიმდინარე სასწავლო წელსაც მოსწავლეები კვლავინდებურად ვამუშავე და ვეცადე მიმეჩვია ასოციაციური აზროვნებისათვის. განუმარტავდი მათ ასოციაციის,წარმოსახვის, ფანტაზიის რაობას, ვავარჯიშებდი, რაც შეიძლება მეტი საგანი დაეკავშირებინათ ერთმანეთისათვის და ამის მიხედვით შეეთხზათ პატარ -პატარა ამბები ზედსართავი სახელებისა და ეპითეთებისა თუ შედარებების მოშველიებით.ასევე, ყურადღება მივაქციე იმას, რომ მოსწავლეებს შესძლებოდათ საკუთარი განცდების, ემოციების გადმოცემა. განუმარტავდი მათ განცდის რაობას, განცდასა და გრძნობას შორის მსგავსება განსხვავებას.ამის შემდეგ უშუალოდ გადავედი კონკრეტული აქტივობების ადა მეთოდების გამოყენებაზე.ვიხელმძღვანელე მეთოდური,სარესურსო სახელმძღვანელოთი, რომელიც საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტმა (G-PRIED) შემოგვთავაზა წინა წლებში და დიდი დახმარება გამიწია პირადად მე, ჩემი პრაქტიკის კვლევისას, როცა ავარჩიე წერასთან დაკავშირებული მეთოდები და დავნერგე ჩემს პრაქტიკაში.

შევეცდები, აღვწერო გამოყენებული აქტივოვბები, რომლებზე მუშაობაც ძალზე ნაყოფიერი არმოჩნდა ჩემი პრაქტიკისათვის.

როგორც წინა წელს,წერის დაწყების ადრეულ ეტაპზე, სხვა აქტივობების პარალელურად მოსწავლეები მცირე პერიოდი ვამუშავე **ქარგებით, შაბლონების** გამოყენებით წერაზე.

ეს აქტივობა მოსწავლეებს:

- ხელს უწყობს აზრების ჩამოყალიბებაში
- აძლევს გარკვეულ მინიშნებებს და მიმართულებებს უშუალოდ წერის პროცესში
- მატებს თავდაჯერებულობას

წინასწარ ვარჩევდი ქარგას მოსწავლის აზროვნების მისამართად, მაგალითად პრობლემა და მისი გდაჭრა; საგნის აღწერა / დახასიათება; პერსონაჟის დახასიათება, მსგავსება და განსხვავება და სხვა.ქარგებს ასევე ვიყენებდი, როცა მოსწავლეებს ვაწერინებდი შთაბეჭდილებებს წაკითხულ ტექსტთან დაკავშირებით. მოსწავლეებს ვამუშავებდი, როგორც წყვილებში, ისე ინდივიდუალურად.

მოსწავლის პირადი დღიური.დღიური მეთოდურ ლიტერატურაში განიხილება, როგორც წერის სწავლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. ზოგ ქვეყანაში მას წერის სწავლების წამყვან საშუალებადაც კი იყენებენ.დღიური კარგი საშუალებაა წერის შედარებით ფორმალიზებულ საფეხურზე, მაგალითად, წერის ხუთსაფეხურიან მოდელზე ან თუნდაც, ესეების, თხზულებების წერაზე გადასასვლელად.

ამ აქტივობის სისიტემატური გამოყენენბით მოსწავლე:

- იწაფება წერასა და კითხვაში
- ითვისებს გრამატიკულ ნორმებს და იწაფება მართლწერაში.
- იძენს თავდაჯერებულობასა და გაბედულებას წერისას.
- ეძლევა თავისუფალი,დამოუკიდებებლი აზროვნებისა და რეფლექსიის საშუალება

უკეთ ხედავს და აცნობიერებს საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს.

მოსწავლეები დღიურზე ინდივიდუალურად მუშაობდნენ. თავდაპირველად, ყველას სთითაოდ გავუკეთე ჩანაწერი დღიურში, შემდეგ ხმამაღლა წავიკითხე , რომ სცოდნოდათ, რაზე შეეძლოთ ეწერათ. მე არ ვთავაზობდი მათ საწერ თემებს .მოსწავლეები ჩანაწერებს აფორმებდნენ ნახატით, სტიკერებით. დროდადრო ვაგროვებდი დღიურებს და წამახალისებელ, განმავითარებელ კომენტარებს ვუწერდი მათ. ვთხოვდი, გაცნობოდნენ ჩემს კომენტარებს და შენიშვნები სამომავლოდ გაეთვალისწინებინათ.

მინიშნებებით თავისუფალ თემაზე წერისათვის ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია წერის დაწყების გზაზე.ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტი, რომელიც მოსწავლეებს აძლევს შემოქმედებითი თვითგამოხატვის საშუალებას.

მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები:

- ივითარებენ წარმოსახვის უნარს
- გამოხატავენ საკუთარ ემოციას, განცდებს, მოსაზრებებს
- აკვირდებიან საკუთარ ემოციებს და ცდილობენ შესაბამისი ლექსიკის შერჩევას.

მოსწავლეებს ვაჩვენებდი საინტერესო, შინაარსიან ფოტო-სურათს და ვთხოვდი,მათზე დაკვირვებისა და წარმოდგენების საშუალებით მცირე ზომის ამბავი დაეწერათ.

იდეები შემოქმედებითი წერისათვის

ეს მეთოდი მოსწავლეებს აძლევს თვითგამოხატვის საშუალებას.განსაკუთრებით მოსწოდათ ჩემს მოსწავლეებს მასზე მუშაობა. ჩემ მიერ შეთავაზებული იდეებიდან ისინი ირჩევდნენ თემას თავისუფალი წერისათვის.

ამ მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები:

- ივითარებენ წერის წარმოსახვის უნარებს
- გამოხატავენ საკუთარ ემოციას,განცდებს, მოსაზრებებს
- ივითარებენ წერის უნარებს

იდეები წერისათვის, რომლებიც მოსწავლეებს შევთავაზე:

ჩემი გმირი

მე რომ დედა(მამა) ვიყო

მე რომ მასწავლებელი ვიყო

მე რომ ბევრი ფული მქონდეს

ერთი რამის შეცვლა რომ შემეძლოს ჩემში

მე რომ მზე ვიყო...და ასე შემდეგ

სწრაფი წერა.სწრაფი წერის აქტივობის გამოყენებისას მოსწავლეები მცირე დროის განმავლობაში სცემენ პასუხს ჩემ მიერ დასმულ ღია შეკითხვაზე ანუ წერილობით რეაგირებენ კონკრეტულ საკითხზე.უმეტესად მას ვაკეთებ პრობლემის იდენტიფიცირებისას ან თემის შემაჯამებელი კითხვების დროს. მოცემული ტექსტის ანალიტიკური შეფასებისებისას მოსწავლეებს დავალებად ვაძლევდი 1-2 კითხვაზე პასუხი წერილობით გაეცათ.

ამ მეთოდით მუშაობის პროცესში მოსწავლეებს უვითარდებათ:

- აზრის თანმიმდევრულად გადმოცემის უნარი
- მსჯელობის, არგუმენტირებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები.

რა თქმა უნდა , ვიყენებდი წერასთან დაკავშირებულ სხვა აქტივობებსაც, მაგრამ ძირითადად არწერილი მეთოდებით ვიმუშავე.

ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს პრაქტიკაში, წერასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაშიმოსწავლეებს განსაკუთრებით დაეხმარა გრაფიკული სქემებით მუშაობა. როგორიცაა **იდეა და დეტალები, მიზეზი-შედეგი; საკითხთა რუკა;**

ასევე ტექსტში პერსონაჟის ხასიათის თვისებების მოძებნა დასაბუთებით. (სხვადასხვა ვარიანტების მიხედვით რუკის შედგენა) მოსწავლეებს ნოყიერ ნიადაგს უქმნის პერსონაჟის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესადგენად, მისი მოტივაციის დასადგენად, ტექსტის მთავარი სათქმელის საწვდომად. ამ დროს კარგად დაგეგმილი წერითი აქტივობები კი მოსწავლეს უბიძგებს

ა) გააკეთოს მოკლე წერილობითი კომენტარი მისთვის მხატვრულად და აზრობრივად საინტერესო მონაკვეთების შესახებ.

ბ) საკუთარი განცდების, შთაბეჭდილების გადმოსაცემად შეარჩიოს მისთვის სასურველი მხატვრული ფორმა.

გ) დაწეროს სხვადასხვაგვარი თხზულება (ესე და სხვა.)

დ) გამოავლინოს (ფაქტისადმი (მოვლენისადმი) ან პერსონაჟისადმი საკუთარი დამოკიდებულება. მოახერხოს მისი ემოციური შეფასება შესაფერისად შერჩეული ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენებით და ა.შ.

„წერის სტრატეგიები წინასწარ მოფიქრებული, წერაზე ფოკუსირებული აზროვნების გზაა .მათ შეიძლება ფქონდეს ბევრი ფორმა და შეიძლება იყოს როგორც სახელმძღვანელო გეგმა ამა თუ იმ ტექსტის შესაქმნელად“(მარიამ გოდუაძე,, წერის სწავლების სტრატეგიები“. ინტერნეტ გაზეთი მასწავლებელი. გე 2018 წელი).

კვლევის დღიური

თვალსაჩინოებისათვის მინდა ორი სამუშაო გაკვეთილი აღვწერო(იხ. დანართი)

I გაკვეთილი

მოსწავლეები წინა გაკვეთილზე ვამუშავე რევაზ ინანიშვილის მოთხრობა ,,უშიშარი ბიჭი იოსებას'' გაგება-გააზრებაზე. დაისვა კითხვები, როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებელის მხრიდან. დააკვირდნენ მწერლის ენას. ტექსტიდან ამოწერეს ზედსართავი სახელები და ტროპის სახეები-ეპითეტები და შედარებები. დააკვირდნენ პერსონაჟის თვისებებს და იმუშავეს შესაბამისი სქემით.საშინაო დავალებად მივეცი წერითი სამუშაო.

მოკლედ აღვწერ როგორ დავუთმე გაკვეთილის უმეტესი ნაწილი წერით აქტივობებს:

I- აქტივობა: საშინაო დავალების პრეზენტაცია . მოსწავლეები კითხულობენ წერით დავალებას,,ცუდი საქციელი, რომელიც დამამახსოვრდა''. პრეზენტაციას მოჰყვა კითხვების დასმა და უკუკავშირი მასწავლებლისგან.

II- აქტივობა: გრაფიკულ სქემაზე მუშაობა: მიზეზი და შედეგი. მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ და მოცემული ტექსტის მიხედვით სქემის ფურცლებში წერენ ორ-ორ მიზეზს, ფაქტს, რომელთაც ორი შედეგი მოჰყვა, დასაბუთების მეშვეობით. პრეზენტაციას მოჰყვა დამატებითი კითხვები და მასწავლებილს უკუკავშირი.

III- აქტივობა: წერითი დავალება. მოსწავლეები წერენ მოთხრობის ტექსტის მონაკვეთების მიმართ კომენტარებს საკუთარი დამოკიდებულების სახით ინდივიდუალირად. პრეზენტაციისა, დამატებითი კითხვებისა და უკუკავშირის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შეაფასონ ერთმანეთის ნამუშევრები.

IV- აქტივობა.ინტერვიუ მთავარ პერსონაჟთან. მოსწავლეებს ევალებათ წყვილებში ორ-ორი შეკითხვის მომზადება და დაწერა აქტივობის ბარათებზე. პრეზენტაციის შემდეგ კეთდება მასწავლებლის უკუკავშირი.დაისმის გაკვეთილის შემაჯამებელი კითხვები.

V- აქტივობა: საშინაო წერითი დავალება ,,იოსებას მონანიება''.

II -გაკვეთილი

I-აქტივობა.საშინაო დავალების პრეზენტაცია. მოსწავლეები კითხულობენ წერით დავალებას „იოსებას მონანიება“.პრეზენტაცია მოჰყვება მასწავლებლის უკუკავშირი.

II-აქტივობა.მინიდისკუსია-“ რა როლს ასრულებს მონანიება და თვითდასჯა ადამიანის ცხოვრებაში?“

სადისკუსიო კითხვები: რას ქვია, რა გრძნობაა სინანული?

როდის უჩნდება ეს გრძნობა ადამიანს?

თქვენ თუ გაგჩენიათ მსგასი გრძნობა?

რამდენად გამართლებულია თვით დასჯის მცდელობა ადამიანში?

თქვენ თუ დაუსჯიხართ ვინმეს?

თვითდასჯის რა და სახე შეიძლება არსებობდეს?

რა როლი შეიძლება ითამაშოს დანაშაულის მონანიებამ და თვითდასჯამ ადამიანის ცხოვრებაში?

III-აქტივობა წერა. მოსწავლეები გრაფიკული სქემის ფურცლებში მუშაობენ წყვილებში და ავსებენ პერსონაჟის ხასიათის ცვლილებების რუკას.წერილობით პასუხობენ კითხვებს:

როგორია პერსონაჟი დასაწყისში?

როგორია ბოლოს?

როგორ შეიცვალა პერსონაჟი?

რატომ შეიცვალა პერსონაჟი?

პრეზენტაციისა და მასწავლებლის უკუკავშირის შემდეგ გადადიან მომდევნო აქტივობაზე.

IV-აქტივობა.5 წუთიანი წერა.მოსწავლეებს ვავალებ შეადარონ ეს მოთხრობა რევაზ ინანიშვილის ახლახან შესწავლილ სხვა მოთხრობას.პასუხს წერენ წყვილებში ვენის დიაგრამის გამოყენებით. პრეზენტაციის შემდეგ ხდება გაკვეთილის შეჯამება და შეფასება

V- აქტივობა. საშინაო დავალებად ეძლევათ საწერი თემა „ჩემი თანატოლები.“

ვერ ვიტყვი, რომ ყველა გაკვეთილი ასე ჩავატარე, თუმცაღა მქონდა მცდელობა, რაც შეიძლება მეტი წერითი აქტივობა მქონოდა მეორე სემესტრის განმავლობაში გაკვეთილზე.

მონაცემთა ანალიზი

მონაცემთა შეგროვებისას გამოვიყენე რაოდენობრივი კვლევის მეთოდი.ინტერვენციების განხორციელების შემდეგ, სასწავლო წლის დასასრულისათვის გავზომე ჩემი მოსწავლეების შედეგები და შევადარე მიმდინარე სასწავლო წლის I-სემესტრის შედეგებს.ის ეყრდნობოდა ყველა ტიპის წერით დავავლებას:-საკლასოს, საშინაოს ა და შემაჯამებელს.

მოსწავლეთა შედეგები დავყავი სამ დონედ:

კარგი: მოსწავლეები,რომლებიც კარგად პასუხობენ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას წერის მიმართულების ამ ეტაპზე და აქვთ კარგი, ზოგჯერ საუკეთესო შედეგები ყველა ტიპის წერითი დავალებების შესრულებისას .

საშუალო;მოსწავლეები, რომლებიც საშუალოდ პასუხობენ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას წერის მიმართულების ამ ეტაპზე და უმეტესად აქვთ საშუალო შედეგი ყველა ტიპის წერითი დავალების შესრულებისას.

დაბალი:მოსწავლეები, რომლებსაც სამწუხაროდ უმეტესად ჯერ კიდევ დაბალი შედეგები აქვთ ყველა ტიპის წერითი დავალების შესრულებისას.

4 -3 -2 . სულ VI კლასში 9 მოსწავლე მყავს.

ვიმედოვნებ,მომავალ სასწავლო წელს ეს მაჩვენებელი უფრო მეტად გაუმჯობესდება.

რისკები და გამოწვევები

პრაქტიკის კვლევის მიმდინარეობის პროცესში არ გამოკვეთილა რაიმე გარკვეული ტიპის რისკები და გამოწვევები. თუმცა მცირე ეჭვის გამო, გამიჩნდა კითხვებიც: ძალიან რთულ საქმეს ხომ არ ვეჭიდები? მაქვს კი წარმატების შანსი? ჩემი ძალა და შესაძლებლობები გაწვდება კი ამ საკითხის კვლევას? მაგრამ ამავე დროს ეს იმდენად მიმზიდველი და საინტერესო პროცესია, მზად ვარ მთელი ჩემი ენერგია დავხარჯო მიზნისკენ მიმვალ გზაზე.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩემი პრაქტიკისა და ჩემი კოლეგების გამოცდილების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ წერის მოცემული პრაქტიკის მეთოდების გამოყენება მასწავლებლის მხრიდან მოითხოვს საჭირო კივალიფიკაციას, რათა მოსწავლეში გააღვიძოს შესაბამისი უნარები, გააჩინოს მოტივაცია და ინტერესი მოცემული წერითი სამუსაოს შესასრულებლად.

ამგვარი პრაქტიკით წარმართულ სასწავლო პროცესში მოსწავლეები უფრო მოტივირებულად ასრულებენ წერით სამუსაო დავალებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კითხვისა დაწერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი. 2015
2. ნათელა მაღლაკელიძე.ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა.თბილისი.2013
3. ქართული ენა და ლიტერატურა I-VI კლასები.გზამკვლევი მასწავლებლებისათვის 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.
4. მარიამ გოდუაძე. წერის სწავლების ნაბიჯები და სტრატეგიები.26 იანვარი 2018.ინტერნეტგაზეთი მასწავლებელი.ჯი
5. მარიამ გოდუაძე.აზროვნებისა და წერის დონეები.15 მარტი 2016.ინტერნეტგაზეთი მასწავლებელი.ჯი
6. ნესტან რატიანი.როგორ გავაუმჯობესოთ მოსწავლეების წერითი კომუნიკაციის უნარი. სახელდახელო ნაწერები. 8 აპრილი.2018.ინტერნეტგაზეთი მასწავლებელი.ჯი

7. ნესტან რატიანი. როგორ გავაუმჯობესოთ მოსწავლეების წერითი კომუნიკაციის უნარი-რეფლექსიები.27 აპრილი.2018.ინტერნეტგაზეთი მასწავლებელი.ჯი
8. მარიამ გოდუაძე ,,წერის სწავლების სტრატეგიები“ ინტერნეტგაზეთი მასწავლებელი.ჯი II ნაწილი 2018 წელი.

დანართი.